იცხოვრე პარვის პარშემო

დანელების ქ. 63

სვანსითი

თანამედროვე საცხოვრებელი ეკოსისტემა თბილისში



გიორგი დანელიას ქ. 63, თბილისი



ქალაქში ცხოვრება - ბუნებასთან კავშირის დაკარგვის გარეშე

SPARK CITY- ს მთავარი იდეაა შექმნას საცხოვრებელი გარემო, სადაც თანამედროვე არქიტექტურა, ბუნება, სიმშვიდე და ყოველდღიური კომფორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ერთ სივრცეში ერთიანდება.

პროექტი დაბალსართულიანი განაშენიანებით ვითარდება და ითვალისწინებს საერთო სარგებლობის სივრცეებს, მათ შორის გამწვანებულ ტერიტორიებსა და რეკრეაციულ ზონებს.





პროექტი ციფრებში

57 000 მ² მწვანე & რეკრეაციული სივრცე

24 000 მ² შენობებისთვის განკუთვნილი ტერიტორია

3 მ აივნების სიღრმე

20 მ საცურაო აუზი

მდებარეობა



ახლოს ქალაქთან, კიდევ უფრო ახლოს ბუნებასთან.

Spark City მდებარეობს საბურთალოზე, გიორგი დანელიას #63-ში. პროექტი მშვიდ, გამწვანებულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას გაძლევს, ქალაქის ყოველდღიურად საჭირო ობიექტები და სერვისები კი მარტივად ხელმისაწვდომია.


პარკი


Spark City პარკის გარშემო დაიგეგმა. შენობები ბუნებრივ რელიეფს მიჰყვება და მათ შორის მყუდრო, ქარისგან დაცული ეზო-პარკია მოწყობილი. შენობების განლაგებისას გათვალისწინებულია პანორამული ხედები და ბუნებასთან სიახლოვე.

პარკში ავტომობილები არ მოძრაობენ, ამიტომ აქ მშვიდად შეგიძლია გაისეირნო, დაისვენო ან ბავშვებთან ერთად გაატარო დრო. გამწვანებულ ტერიტორიებსა და სასეირნო ბილიკებთან ერთად სივრცეს ხელოვნური სარკისებური ტბაც გამოარჩევს.











ინფრასტრუქტურა










ყველაფერი, რაც შენს ყოველდღიურობას სჭირდება

- 20-მეტრიანი საცურაო აუზი ღია ტერასით
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი
- ფიტნეს სივრცე
- პადელის კორტები
- სპორტული მოედნები
- საბავშვო სივრცეები
- გამწვანებული და დასასვენებელი ზონები
- სარკისებური ტბა
- ლობი და საერთო სარგებლობის სივრცეები
- დახურული ავტოსადგომი
- სადღეღამისო დაცვა

ლობი





შინ დაბრუნების განცდა ჯერ კიდევ შესასვლელიდან იწყება.

Spark City-ის ლობი მაცხოვრებლებსა და სტუმრებს დახვეწილი, მყუდრო გარემოთი ხვდება, სადაც თანამედროვე მინიმალისტური დიზაინი, ბუნებრივი მასალები და თბილი ტონები ერთიანდება.

მაღალი ჭერი სივრცეს მეტ მოცულობას სძენს, ფართო პანორამული ვიტრაჟები კი ინტერიერს ბუნებრივი სინათლით ავსებს და გარე გარემოსთან აკავშირებს. განათება, სივრცის პროპორციები და მასალების გააზრებული შერჩევა ლობის გამორჩეულ იერს ქმნის და ყოველდღიურობის სასიამოვნო ნაწილად აქცევს.

ბინები

სივრცე, რომელიც შენს ცხოვრებას ერგება

კომფორტული საცხოვრებელი გარემო სწორი გეგმარებით იწყება. Spark City-ის ბინებში თითოეული კვადრატული მეტრი ეფექტურადაა გამოყენებული, სივრცე კი ყოველდღიურ საჭიროებებზეა მორგებული.

პროექტში წარმოდგენილია ერთ-, ორ- და სამსაძინებლიანი ბინები განსხვავებული გეგმარებით, რაც სასურველი საცხოვრებელი სივრცის შერჩევის შესაძლებლობას გაძლევს.

ბინებში გათვალისწინებულია:

- **ღრმა, ტერასული ტიპის აივნები**
- **ფართო, ნათელი საცხოვრებელი სივრცეები**
- **დამატებითი სათავსოები**

პირველ სართულზე მდებარე ბინების დიდ ნაწილს საკუთარი ეზო აქვს. პროექტში ასევე წარმოდგენილია მაღალჭერიანი პენტჰაუსები ქალაქის, მთებისა და შიდა პარკის პანორამული ხედებით. პენტჰაუსების ნაწილს საკუთარი ღია საცურაო აუზიც აქვს.





კონსტრუქციული გადაწყვეტა

მეტი თავისუფლება სივრცის დაგეგმარებაში

Spark City-ის კონსტრუქციული სისტემა ბინების დაგეგმარების მეტ თავისუფლებას იძლევა. პროექტში გამოყენებულია ბრტყელფილოვანი სისტემა, სადაც გადახურვის ფილა და რიგელი ერთ სიბრტყეშია მოქცეული. ეს გადაწყვეტა უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიმტკიცეს და საცხოვრებელი სივრცის უფრო მოქნილად გამოყენების შესაძლებლობას.

რას ნიშნავს ეს მაცხოვრებლისთვის?

- ერთიანი, სწორი და მაღალი ჭერი
- მეტი თავისუფლება ბინის შიდა დაგეგმარებაში
- სივრცე ხელისშემშლელი კონსტრუქციული ელემენტების გარეშე
- ვიტრაჟებისა და კარ-ფანჯრების ჭერამდე მოწყობის შესაძლებლობა
- მეტი ბუნებრივი სინათლე

კომფორტი, რომელიც დეტალებში იგრძნობა

3-მეტრიანი აივნები

ფართო აივნები საცხოვრებელი სივრცის ბუნებრივი გაგრძელებაა, სადაც შეგიძლია მოაწყო დასასვენებელი ადგილი და მეტი დრო გაატარო გარეთ.

ტექნიკური ოთახები

გათბობის ქვაბები და კონდიცირების გარე აგრეგატები სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებში თავსდება. შედეგად, აივნები თავისუფალია, შენობის ფასადი კი ერთიან იერს ინარჩუნებს. Spark City-ში არქიტექტურული დეტალები ყოველდღიურ კომფორტსა და შენობის ესთეტიკას ერთდროულად ემსახურება.





საერთაშორისო გამოცდილება, ადგილობრივ გარემოზე მორგებული არქიტექტურა

გენერალური გეგმა

Christ & Gantenbein | ბაზელი
ANDS | მილანი

დეტალური არქიტექტურული პროექტი

NS Studio

Spark City-ის არქიტექტურა საერთაშორისო გამოცდილებასა და ადგილობრივი გარემოს თავისებურებებს ითვალისწინებს. პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგოეფექტურობას, თბოიზოლაციასა და ხმის იზოლაციას, რაც მაცხოვრებლებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას ემსახურება.

CHRIST & GANTENBEIN

რატომ SPARK CITY?

სახლზე მეტი, სრულყოფილი საცხოვრებელი გარემო.

- 57,000 მ² გამწვანებული და რეკრეაციული სივრცე
- დაბალსართულიანი განაშენიანება და ბუნებასთან სიახლოვე
- მშვიდი გარემო ქალაქთან ახლოს
- სპორტის, დასვენებისა და აქტიური ცხოვრებისთვის შექმნილი სივრცეები
- კომფორტული ბინები მოქნილი გეგმარებით
- პანორამული ხედები ქალაქზე, მთებსა და შიდა პარკზე
- მშენებლობის ხარისხის კონტროლი ყველა ეტაპზე
- მოსახერხებელი მდებარეობა: პარკთან და გამწვანებულ სივრცეებთან სიახლოვის მიუხედავად, Spark City ახლოსაა მეტროსთან, სატრანსპორტო კვანძებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ყოველდღიურად საჭირო სერვისებთან.

Spark City-ში სახლის არჩევა მხოლოდ ბინის შერჩევას არ ნიშნავს. ეს არის შესაძლებლობა, იცხოვრო ბუნებასთან ახლოს, ისარგებლო მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურით და ყოველდღიურად გქონდეს დრო და სივრცე როგორც დასვენებისთვის, ისე აქტიური ცხოვრებისთვის.



იცხოვრე პარკის გარშემო

დაველიას ქ. 63

+995 593 088 888

WWW.SPARKCITY.GE

სპარკსითი